



Co-funded by the  
Erasmus+ Programme  
of the European Union



**ERASMUS+ CBHE PROJECT # 585760-EPP-1-2017-1-AM-EPPKA2-CBHE-JP**

**“ცვლილება საკლასო ოთახში ინოვაციური სწავლებისა და სწავლის  
წახალისება სტუდენტთა სასწავლო გამოცდილების  
გასაუმჯობესებლად აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში “**

**(PRINTeL)**

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა  
განვითარების ცენტრის სამოქმედო გეგმა**

**2019-2021**

**თბილისი 2018**

## შინაარსი

შესავალი	3
1. მიზნები	3
2. ზოგადი ინფორმაცია	4
3. ძირითადი აქტივობები	6
3.1. პროფესიული განვითარების კურსები	6
3.2. მეთოდური კონსულტაციები	19
3.3. სემინარები, სამუშაო შეხვედრები და კონფერენციები	19
3.4. ცნობადობა და თანამშრომლობა	19
3.5. განვითარებაზე ორიენტირებული პროექტები	20
4. ორგანიზაციული და სამოქმედო ასპექტები	21
4.1. ორგანიზაციული სტრუქტურა	21
4.2. მოვალეობები	22
4.3. მარკეტინგი და კომუნიკაცია	23
4.4. ხარისხის უზრუნველყოფა	24
4.5. განვითარება ეფექტიანობისთვის	29
4.6. საერთაშორისო თანამშრომლობა	30

# შესავალი

## 1. მიზნები

აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრის მისიაა აკადემიური განათლებისა და კვლევის ხარისხის გაზრდა და ამ მიზნით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელთა და მკვლევართათვის პროფესიული განვითარების შესაძლებლობების უზრუნველყოფა (რაც გულისხმობს: აკადემიური პროგრამების მენეჯმენტს (დიზაინი, განვითარება და შეფასება), სწავლებას (სწავლება, სწავლა და შეფასება) და კვლევის უზარებს) 2024 წლამდე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმის მიზნების შესაბამისად.

პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრაში ცენტრი ძირითადად დაეყრდნობა მასწავლებელთა და სტუდენტთა გამოკითხვებში სწავლა-სწავლების სტრატეგიებთან დაკავშირებით გამოკვეთილ მოსაზრებებს და ამავე მიზნით გამოიყენებს სხვა ინსტრუმენტებსაც, როგორცაა, მაგ. მასწავლებელთა და მკვლევართა თვითშეფასებები, დარგობრივი სტანდარტები, აკადემიური პროგრამების გარე და შიდა შეფასებები.

ცენტრი რეგულარულად ჩაატარებს 5 ტრენინგ კურსს, რომლებიც მორგებული იქნება არსებულ და მიმდინარე საჭიროებებზე. გარდა ამისა, ცენტრი ჩაატარებს ტრენინგებს უკვე დანერგილი აქტივობების შეფასების შედეგად გამოკვეთილი საჭიროებებისა თუ სპონტანური მოთხოვნის საფუძველზეც.

აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს/მასწავლებლებს მისცემს შესაძლებლობას დაეუფლონ სწავლა/სწავლების ინოვაციურ ხერხებს, რაც ხელს შეუწყობს სწავლის შედეგების გაუმჯობესებას. ამასთან, სწავლა/სწავლების ინოვაციური მოდელებისა და სტანდარტების დანერგვა გაუადვილებს ადაპტაციას როგორც სტუდენტებს და სასწავლო პროცესში ჩართულ პირებს დასავლურ უნივერსიტეტებში, ასევე საერთაშორისო სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობისას. ამ თვალსაზრისით, აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრის წვლილი გრძელვადიან პერსპექტივაში იქნება უდიდესი, რადგან ილიას უნივერსიტეტში საერთაშორისო ორენოვანი კურსებისა და პროგრამების წილი წლიდან წლამდე იზრდება.

ცენტრის მუშაობა და შედეგები შეფასდება 3 წლის შემდეგ, რის მიხედვითაც გამოიკვეთება შემდგომი სამუშაო და სამოქმედო პრიორიტეტები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნა და ხარისხი იქნება შესაბამისი, მომდევნო ეტაპად განიხილება პროგრამების კომერციალიზაცია - სხვა უნივერსიტეტების სასწავლო პროცესში ჩართულ პირთა გადამზადება ანაზღაურების საფუძველზე.

## 2. ზოგადი ინფორმაცია

აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრი არის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სივრცეში ადამიანური რესურსების მართვის სამსახურთან არსებული ახალი სტრუქტურული ერთეული, რომელიც შეიქმნა ერასმუს + პროექტის - “ცვლილება საკლასო ოთახში ინოვაციური სწავლებისა და სწავლის წახალისება სტუდენტთა სასწავლო გამოცდილების გასაუმჯობესებლად აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“ (PRINTeL) ფარგლებში.

არსებული პრაქტიკების, სწავლების შედეგების, SWOT-ანალიზის, გარე და შიდა დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების, ადგილობრივი და რეგიონული კონკურსების, განვითარების სამომავლო პერსპექტივებისა და ტენდენციების, უნივერსიტეტის მისიისა და ხედვის გათვალისწინებით, 2017 წელს უნივერსიტეტმა შეიმუშავა სტრატეგია 2018-2024 წლებისთვის. აღნიშნულ დოკუმენტში დასტურდება, რომ სწავლა/სწავლების პროცესის მუდმივი განვითარება წარმოადგენს უნივერსიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრატეგიულ მიზანს.

უნივერსიტეტის საჭიროებათა კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გამოწვევები და საჭიროებები:

- აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა უმეტესობა სწავლების პროცესში არ იყენებს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებსა და ონლაინ სისტემებს, მათ შორის მუდღს და დისტანციური სწავლების მოდელებსა და საშუალებებს.
- მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგად აღმოჩნდა, რომ უმეტესი მათგანი სწავლებისას ძირითადად იყენებს ტრადიციულ ლექცია/სემინარების მოდელს და არა ფოკუსს ჯგუფებს, თამაშებსა და სიმულაციებზე დამყარებულ თუ ონლაინ სწავლებას ან სხვა თანამედროვე პრაქტიკებს.
- უნივერსიტეტი მუშაობს ისეთი საინჟინრო პროგრამების განვითარება/დანერგვაზე (კომპიუტერული ინჟინერია, სამოქალაქო ინჟინერია, კომპიუტერული მეცნიერება, და ა.შ.), რაც მოითხოვს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას, განსაკუთრებით კი სწავლება/შეფასების პროცესის წარმართვას ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით. ამ მეთოდის დანერგვისთვის, სწავლებაში ჩართულ პირებს სჭირდებათ მნიშვნელოვანი ხელშეწყობა.
- უნივერსიტეტი მუშაობს ცოდნისა და უნარების გარე ტრანსფერზე, რაც მოიცავს სასერტიფიკატო კურსების შემუშავებას. სამწუხაროდ, მასწავლებელთა უმეტესობა არ იცნობს ამგვარი პროგრამების შექმნის სპეციფიკას (საბაზრო მოთხოვნების დადგენა, სწავლება/შეფასების საუკეთესო მეთოდისა თუ სათანადო ტექნოლოგიის შერჩევა, დისტანციური კურსების წაყვანა).

- შერეული სწავლება, საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენება, ციფრული პედაგოგიკა, მობილური თუ აქტიური სწავლება - ყველა ეს მეთოდი ჯერჯერობით არ არის სათანადოდ განვითარებული და დანერგილი. ეს მეთოდები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი ზოგადი მოდულის საგნების სწავლებისას, როგორცაა ინგლისური ენა, აკადემიური მუშაობის ტექნიკები, შესავალი თანამედროვე აზროვნებაში და სხვა. აღნიშნული საგნების სწავლება ხდება დიდ ჯგუფებში და სწავლების მეთოდიკაც სპეციფიურია. შესაბამისად, ამ სემინტში სწავლების თანამედროვე ტექნიკების დანერგვა მასწავლებლებს დაეხმარება ჯგუფების უკეთესად მართვასა და უკეთესი შედეგების მიღწევაში.
- სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების დანერგვა ასევე ძალიან მნიშვნელოვანია სამართლის სკოლისთვის. საქართველოში სამართალმცოდნეობა არის სახელმწიფოს მხრიდან რეგულირებადი პროფესია და სტუდენტთა სწავლებისას საჭიროა სხვადასხვა მიმართულების პროფესიონალთა ჩართვა. ასეთ შემთხვევაში, მასწავლებელთა პერსონალს სჭირდება არა მხოლოდ სწავლების ახალი მეთოდებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, არამედ არსებული მეთოდების სისტემატიზაცია ისეთი კურსების ფარგლებში, სადაც სწავლების პროცესს წარმართავს რამოდენიმე მასწავლებელი.
- შესაძლებლობების განვითარება აუცილებელია პროგრამის სწავლების შედეგების შეფასების (PLO) და განვითარებისთვის, რაც გულისხმობს შედეგზე ორიენტირებული ხარისხის მართვის სისტემის დანერგვას - პროგრამის სწავლების შედეგების განსაზღვრას ე.წ. SMART კრიტერიუმებით, შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების (მაგ. სტუდენტები, კურსდამთავრებულები, მრჩეველთა საბჭო, და ა.შ.) შეფასებებს, პროგრამის შეფასების პირდაპირ და ირიბ სტრატეგიებს, პროგრამის სწავლების სტანდარტულ შედეგებთან შედარებით შეფასებას.

### 3. ძირითადი აქტივობები

აკადემიური პერსონალის და მასწავლებელთა განვითარების ცენტრი იმუშავებს შემდეგი მიმართულებებით:

#### 3.1 პროფესიული განვითარების კურსები

##### პროგრამის შეფასების საფუძვლები

კურსი შემუშავებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური პროგრამების შექმნის, განხორციელებასა და გაუმჯობესებაში ჩართული აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მიერ პროგრამის შეფასების უნარების განვითარების მიზნით.

კურსის მონაწილეები გაეცნობიან პროგრამის შეფასების პირდაპირ მეთოდებს, რაც ემყარება შედეგებზე ორიენტირებული ხარისხის უზრუნველყოფის მიდგომას. ისინი მონაწილეობას მიიღებენ ისეთი პრაქტიკული დავალებების შესრულებაში, რაც მიმართულია პროგრამის მიზნებზე (PO), პროგრამის სწავლის შედეგებზე (PLO) და სხვა.

კურსის დასრულების შემდეგ მონაწილეებს შეეძლება:

- შეიმუშავონ პროგრამის მიზნები (PO), უნივერსიტეტის მისიის გათვალისწინებით;
- პროგრამის მიზნებზე დაყრდნობით განსაზღვრონ პროგრამის სწავლის შედეგები (PLO), დაადგინონ მუშაობის სათანადო ინდიკატორები და რუბრიკები, შეიმუშავონ სწავლების შედეგების გაზომვის მეთოდები ბლუმის ტაქსონომიის გამოყენებით ;
- შეადგინონ კურიკულუმის რუკა, სადაც ნათლად იქნება ნაჩვენები პროგრამის კურსებსა და სწავლის შედეგებს შორის შესაბამისობა;
- განასხვავონ პროგრამის შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მიდგომები და შეძლონ პროგრამის შეფასების ციკლში ეტაპების განსაზღვრა.

კურსი მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

- პროგრამის კონტექსტი და მისი ციკლი: ამ ნაწილში მონაწილეები გაეცნობიან პროგრამის შემუშავების პრინციპებს (PO, PLO), სადაც გათვალისწინებულია უნივერსიტეტის მისია, დაინტერესებული პირები და შეფასებები;
- პროგრამის მიზნები (PO): გაეცნობიან პროგრამის მიზნის ჩამოყალიბების საბაზისო პრინციპებს; შიდა და გარე დაინტერესებული პირების როლს პროგრამის მიზნების შემუშავებაში.
- პროგრამის სწავლების შედეგები (PLO): ამ ნაწილში მონაწილეები

გაეცნობიან ბლუმის ტაქსონომიას და მის როლს კონკრეტული და გაზომვადი შედეგების შემუშავებაში, ასევე სწავლის შედეგებისა და შესრულების სათანადო ინდიკატორების განსაზღვრას; შეისწავლიან შესრულების ინდიკატორების ჩამოყალიბების და განსაზღვრის პრინციპებს.

- რუბრიკები: კურსის ამ ნაწილში მონაწილეები გაეცნობიან პროგრამის შეფასებაში რუბრიკების როლს, მათ ტიპებს და სათანადო ინსტრუმენტებს.
- კურიკულუმის რუკა: კურსის განმავლობაში ყურადღება გამახვილდება იმ საბაზისო პრინციპებზე, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია კურიკულუმის რუკის შედგენისას.
- პროგრამის შეფასების პროცესი: კურსის დასკვნით ნაწილში აღწერილი იქნება შეფასების სხვადასხვა მეთოდოლოგიები და მათი ძლიერი და სუსტი მხარეები; პირდაპირი და ირიბი შეფასების პრინციპები; პროგრამის შეფასების ციკლში მთავარი ეტაპები. მონაწილეები გაეცნობიან პროგრამის შედეგების შეფასებისთვის გრაფიკის შექმნის მნიშვნელობას.

ტრენინგ კურსი შესაძლოა ჩატარდეს ერთ დღეში (8 საათი), ან განაწილდეს 2 დღეზე (დღეში 4 საათი), ხოლო სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენენ პროგრამის ხელმძღვანელები, კურიკულუმის ექსპერტები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი/მასწავლებლები. მონაწილეთა მინიმალური რაოდენობა არის 6, ხოლო მაქსიმალური 12.

მონაწილეებისთვის სავალდებულოა ტრენინგის ყველა კომპონენტზე დასწრება და ყველა დავალების შესრულება. პროგრამისთვის გამოყენებული იქნება ხარისხის შეფასების შემდეგი ინსტრუმენტები:

- მონაწილეთა პრე და პოსტ-ინტერვენციული გამოკითხვები (ადგილზე შეფასება);
- იმ მონაწილეთაგან შემდგარი ფოკუს ჯგუფის შეფასება, ვინც ჩართული იყო პროგრამის თვითშეფასების პროცესში და სათანადო დოკუმენტების განხილვაში;
- აკადემიური პერსონალის კმაყოფილების ყოველწლიური კვლევა.

## საგრანტო განაცხადის დაწერა

ცენტრი აკადემიურ პერსონალს/მასწავლებლებს შესთავაზებს მინიმუმ ერთ კურსს საგრანტო პროექტის წერის შესახებ. კურსი შეეხება საგრანტო განაცხადის დაწერის პრინციპებს და დაფინანსების წყაროების მოძიებას როგორც რეგიონულ, ასევე ევროპულ დონეზე (Horizon 2020).

## განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება

შეფასების მექანიზმები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ახლებურ სსსწავლო გარემოს ჩამოსაყალიბებლად - Erasmus+ CBHE Project ASSET. ASSET-ის პროექტი ითვალისწინებს შემოქმედებითი და ინოვაციური განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების შექმნისა და პილოტირებისთვის საჭირო ცოდნის მოწოდებას; არსებულ სსსწავლო გარემოსთან ადაპტირებულ მეთოდების შემუშავებასა და სწავლა/სწავლების ეფექტიანობის გაუმჯობესებას. ბოლონის პროცესით გაწერილი პრინციპების გათვალისწინებით. განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების პილოტირება მოხდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სკოლაში. ცენტრი დააკვირდება საპილოტე შედეგებს და შეეცდება განმავითარებელი შეფასების პრაქტიკა დანერგოს სხვა პროგრამებშიც.

## პუბლიკაციებისა და სალექციო რესურსების შექმნა

ცენტრი იზრუნებს სალექციო რესურსების შექმნასა და გამოცემაზე, მაგ. კვლევის შედეგები, სავლე ექსპედიციების ანგარიშები და სხვ. ყოველწლიურად იგეგმება 4 კვლევის შედეგის, 5 საექსპედიციო მოხსენების და 10 სალექციო მასალის გამოქვეყნება ონლაინ (ბიბლიოთეკის ვებგვერდზე ან სპეციალურ რიდერში) ან ბეჭდური ფორმით.

## ახალი აკადემიური პერსონალის/მასწავლებელთა ინტეგრაცია უნივერსიტეტში

აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრი ახალი აკადემიური პერსონალის/მასწავლებლებისთვის ჩაატარებს გაცნობითი სახის ტრენინგს/სემინარს, სადაც მოხდება უნივერსიტეტში დანერგილი პროგრამების მუდლის, თურნითინის, არგუსის და სხვა შესწავლა, ასევე უნივერსიტეტში ინტეგრაციისთვის ყველა სხვა პროცესისა და პროცედურის უზრუნველყოფა (კორპორატიული ელ.ფოსტის გახსნა, უნივერსიტეტის გზამკვლევის გაცნობა, ადმინისტრაცია/ფაკულტეტი/სკოლებისთვის წარდგენა და ა.შ).

## ინტერკულტურული კომუნიკაცია

აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრი მოაწყობს სამუშაო შეხვედრებს იმ აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, რომელთაც უწევთ მუშაობა საერთაშორისო სტუდენტებთან. მონაწილეები ისწავლიან როგორ დაძლიონ კულტურული შოკი, შეხვედრების დროს მათ ექნებათ საშუალება კრიტიკულად შეაფასონ საკუთარი შეხედულებები და რწმენები გარე დამკვირვებლის პერსპექტივიდან და შეძლონ კულტურული სხვაობების მიღება მიკერძოებულობის გარეშე.



## შებრუნებული სწავლების პედაგოგიკა (WP2)

უმაღლესი განათლების მოდელები მუდმივად იცვლება და სტუდენტებშიც დიდია განათლების მიღების სხვადასხვა მეთოდების დანერგვის მოლოდინი. პროექტის ფარგლებში შემოთავაზებული იქნება ინსტრუქტორობისა და მენტორობის პროგრამა, რაც აკადემიურ პერსონალს გაუადვილებს შებრუნებული სწავლების მოდელის დანერგვას. პროგრამის ხელს შეუწყობს მენტორობისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების განვითარებას. მონაწილეები გაეცნობიან თანამედროვე თეორიებს, პრაქტიკებს, კვლევებს, რაც მათ თავის მხრივ დააყენებს გამოწვევის წინაშე, თავად გამოიჩინონ ჯგუფებისა და ორგანიზაციების მართვისადმი ორიგინალური მიდგომა. პროგრამა შედგება 4 ნაწილისგან:

- *ადამიანთა მართვა და ლიდერობა* - ინდივიდებისა თუ ადამიანთა ჯგუფის მართვისთვის საჭირო უნარების განვითარება, ლიდერობის ძირითადი კონცეფციების, წარმატებული მართვის ინსტრუმენტების და ტექნიკების შესწავლა.
- *ინდივიდუალური განვითარების ფაქტორი ლიდერობაში* - თეორიისა და პრაქტიკის დახმარებით საკუთარი თავის კრიტიკულად შეფასების, ლიდერად ჩამოყალიბების და სხვა უნარების განვითარება
- *ინსტრუქტორობა და მენტორობა* - ინსტრუქტორობისა და მენტორობისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების განვითარება, რაც მონაწილეს დაეხმარება ინდივიდუალურ განვითარებაში.
- *ჯგუფის ხელშეწყობა* - ჯგუფური აქტივობების (შეხვედრების, პროექტში მონაწილე ჯგუფებისა თუ კომისიების, და სხვა) ორგანიზების უნარის განვითარება.

## ტრენინგ-კურსი - თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება კვლევაში

აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრი ორგანიზებას გაუწევს კურსს - 'თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება კვლევაში'. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელთა ის ნაწილი, რომლებიც მუშაობენ სხვადასხვა ტიპის ტექნოლოგიების გამოყენებით (ინფორმაციულ-კომუნიკაციური უნარები -Unabot და სხვადასხვა სახის ბოტები, ასტროფიზიკაში მონაცემთა დამუშავების და ბიო ინფორმაციული ტექნოლოგიები, თანამედროვე გამოყენებით კვლევებში ჰუმანიტარული და ციფრული ლინგვისტიკის მეთოდები და ა.შ), შექმნის სპეციალურ სატრენინგო კურსს მასწავლებლებისთვის საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით.

ახალ აკადემიურ პერსონალს და სწავლებაში ჩართულ პირებს უნივერსიტეტი შესთავაზებს შემდეგ კურსს

**ონლაინ სწავლება: Moodle და Turnitin, როგორც სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ინსტრუმენტები**

**კურსის მიზანი**

კურსის მიზანია ახალ აკადემიურ პერსონალს/მასწავლებლებს შეასწავლოს მუდლისა და თერნითინის გამოყენება ეფექტიანი სწავლა/სწავლებისთვის.

**სწავლების შედეგები და შინაარსი**

კურსის დასრულების შემდეგ მონაწილეები შეძლებენ:

- მუდლზე კურსის შინაარსის განთავსებას
- მუდლზე დამოუკიდებლად ნავიგაციას და სხვადასხვა ფუნქციების გამოყენებას
- თერნითინის - პლაგიატის დამდგენი პროგრამის საბაზისო ფუნქციების გამოყენებას
- Turnitin Feedback Studio-ს საბაზისო ფუნქციების გამოყენებას

**კურსი ემსახურება მუდლის ძირითადი ფუნქციების გაცნობას, კერძოდ:**

- **მუდლზე კურსის შექმნა** (მონაწილეთა დამატება და როლების მინიჭება) – მონაწილეები პრაქტიკულად შეისწავლიან კურსის შექმნას და მომხმარებელთა დამატებას. ეს თემა შეეხება ადმინისტრაციულ/ტექნიკურ საკითხებს. კურსის მონაწილე შეძლებს შექმნას კურსი საჭიროების მიხედვით, აირჩიოს ინტერფეისი, როლები მიანიჭოს მომხმარებლებს, შექმნას ჯუფები და ა.შ.
- **კურსის მართვა** - მონაწილეები შეისწავლიან მუდლში აქტივობისა თუ რესურსის დამატებას, როგორ ატვირთონ ფაილი, წიგნი ან ბმული და შექმნან დავალებები, ფორუმები, ქვიზები, კითხვარები და ა.შ. მონაწილეები შეძლებენ ამ ცოდნის გამოყენებას საკუთარ კურსის დაგეგმვა/წარმართვისას.
- **სხვადასხვა პროგრამული ფუნქციები** - კურსის მონაწილეები დეტალურად გაეცნობიან შემდეგ სისტემურ ფუნქციებს - Zoom Meeting; Big Blue Button BN; Open Meetings - რათა შემდგომ ზემოთხსენებული ინსტრუმენტებისა და მართვის სისტემების გამოყენებით დამოუკიდებლად შეძლონ საკუთარი ვებინარის შექმნა და მართვა
- **პლაგიატის დამდგენი პროგრამა Turnitin-ის გამოყენება** - კურსის ამ ნაწილში მონაწილეები გაეცნობიან Turnitin-ის პროგრამასა და ასევე Turnitin Feedback Studio-ს, რათა პრაქტიკულად დაეუფლონ სტუდენტთათვის ინდივიდუალური კომენტარების დროულად მიწოდებას. ინსტრუქტორები გაეცნობიან კომენტარების დაწერის, ე.წ. ქვიკმარქების (კომენტარების შაბლონების) ბაზის შექმნას; სტუდენტთა

ნამუშევრების გასწორებისას რუბრიკების გამოყენებას.

**სამიზნე აუდიტორია და/ან წინაპირობები:** ახალი აკადემიური პერსონალი/სწავლებაში ჩართული პირები

კურსის მონაწილე ვალდებულია დაესწროს ტრენინგ კურსის ყველა კომპონენტს და შეასრულოს ყველა დავალება.

- ტრენინგის მონაწილე ახალი მასწავლებლების პრე და პოსტ-ინტერვენციული გამოკითხვა (ადგილზე შეფასება);
- ტრენინგის მონაწილე ახალი მასწავლებლების სტუდენტთა გამოკითხვა;
- ტრენინგის მონაწილე ახალი მასწავლებლებისგან შემდგარი ფოკუს ჯგუფი;

#### **კრედიტებისა და საათების რაოდენობა**

ტრენინგ კურსის ჩატარება შესაძლებელია როგორც ერთი დღის განმავლობაში (8 საათი), ასევე ორ დღეზე განაწილებაც (დღეში 4 საათი). ECTS კრედიტები (TBC)

#### **ტექსტები და დამატებითი**

##### **სასწავლო მასალები**

კომენტარები და დავალების

გასწორება Turnitin-ში

[https://drive.google.com/file/d/1B3Qyv8WArgRaSmaKE0X\\_yIfK7HhLZCPr/view?usp=sharing](https://drive.google.com/file/d/1B3Qyv8WArgRaSmaKE0X_yIfK7HhLZCPr/view?usp=sharing)

დავალების შექმნა Turnitin-ში

[https://drive.google.com/file/d/1VicgtKaUhKkYfNjTcW0xvIU\\_J-9neJ3\\_/view?usp=sharing](https://drive.google.com/file/d/1VicgtKaUhKkYfNjTcW0xvIU_J-9neJ3_/view?usp=sharing)

Moodle

[https://docs.moodle.org/35/en/Moodle\\_manuals](https://docs.moodle.org/35/en/Moodle_manuals)

[https://www.youtube.com/watch?v=EIQWiKppXmE&list=PLxcO\\_MFWQBDcCnTFdLUgW0HK-7onoB3uE](https://www.youtube.com/watch?v=EIQWiKppXmE&list=PLxcO_MFWQBDcCnTFdLUgW0HK-7onoB3uE)

Turnitin

[https://guides.turnitin.com/01\\_Manuals\\_and\\_Guides](https://guides.turnitin.com/01_Manuals_and_Guides)

#### **კურსის ჩატარების სიხშირე და მონაწილეთა მაქსიმალური რაოდენობა**

მონაწილეთა მინიმალური რაოდენობა არის 5 და მაქსიმუმი 15.

**ტრენერი:** გიგა ხოსიტაშვილი; მაგისტრი ინფორმაციის მენეჯმენტში (სოციალური მეცნიერებები).

აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრი პროექტ “PRINTeL” ფარგლებში უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს/სწავლებაში ჩართულ პირებს სთავაზობს შემდეგ მუდმივ კურსებს:

- გაძლიერებული სწავლება საინფორმაციო/საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, მობილური სწავლება თამაშის ელემენტების გამოყენებით;
- აქტიური სწავლება საინფორმაციო/საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;
- ვიდეო სწავლება, როგორც სწავლების საშუალება მასწავლებელთა და სტუდენტთათვის, ვიდეო ლექციების საკლასო ოთახში გამოყენებით;
- აქტიური სწავლება შებრუნებული სწავლების პრინციპით;
- ჰიბრიდული/შერეული სწავლა/სწავლება.

**1. გაძლიერებული სწავლება საინფორმაციო/საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, მობილური სწავლება თამაშის ელემენტების გამოყენებით;**

**კურსის მიზნები**

კურსის მიზანია დაეხმაროს სამიზნე აუდიტორიას თამაშის ელემენტების, ასევე საკლასო აქტივობების და მობილური ხელსაწყოების გამოყენებით საკლასო თუ კლასგარეშე აქტივობების დაგეგმვის უნარის განვითარებაში. ეს ხელს შეუწყობს სტუდენტებს აქტიურ სწავლაში, რაც გულისხმობს როგორც სხვადასხვა რესურსებისა და ინსტრუმენტების შესწავლას, ასევე მოსწავლე-მასწავლებელს შორის ინტერაქციას. ეს მეთოდი სწავლა/სწავლებას წარმოადგენს სრულიად სხვა პერსპექტივიდან, სადაც სტუდენტი არის ცენტრალური ფიგურა და საინფორმაციო/საკომუნიკაციო ტექნოლოგიები კი საშუალება.

სწავლებაში თამაშის ელემენტების გამოყენებას შეუძლია გაზარდოს სტუდენტებში სწავლის მოტივაცია. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია ციფრული საშუალებებისა და რესურსების, საინფორმაციო/საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.

მობილური სწავლება გულისხმობს მობილური ტექნოლოგიების გამოყენებას, მარტო ან სხვა საინფორმაციო/საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან ერთად, რათა სწავლა ხელმისაწვდომი იყოს ყველგან და ყოველთვის. სწავლებას შეიძლება ჰქონდეს რამოდენიმე მიმართულება: ადამიანებს მობილური ხელსაწყოების გამოყენებით შეუძლიათ წვდომა ჰქონდეთ საგანმანათლებლო რესურსებთან,

დაუკავშირდნენ სხვებს, ან შექმნან რესურსი საკლასო თუ კლასგარეშე გამოყენებისთვის (UNESCO 2013, გვ.6)

**სწავლების შინაარსი და შედეგები**

კურსის ბოლოს ტრენინგის მონაწილეებს ეცოდინებათ:

- სასწავლო პროცესში მობილური სწავლებისა და თამაშის ელემენტების ჩართვის სქემის შექმნა
- დასკვნების, შეფასებისა და დიზაინის სახელმძღვანელოს შემუშავება
- სასწავლო პროცესში თამაშის ელემენტების ჩართვა
- პერსონალური სამუშაო გეგმის თაიმლაინის გაკეთება

**სამიზნე აუდიტორია და/ან წინაპირობები**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი/სწავლების პროცესში ჩართული პირი, რომელიც მოცემული დროისთვის უძღვება მინიმუმ ერთ კურსს, რომელიც ითვალისწინებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას სალექციო პროცესში.

**კრედიტების რაოდენობა და/ან საათობრივი დატვირთვა**

კურსი გრძელდება 5 დღეს, 10 საათიანი სალექციო დატვირთვით.

**ტექსტები და დამხმარე სასწავლო მასალები**

იხილეთ დანართი #1 კურსის სამუშაოსა და სასწავლო მასალებთან დაკავშირებით (PRINTeL Project EU partner UB TOT ტრენინგების გეგმა/სილაბუსი ადაპტირებული ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სატრენინგო კურსისთვის).

**კურსის ჩატარების სიხშირე და მონაწილეთა მაქსიმალური რაოდენობა**

ტრენინგ კურსი ჩატარდება წელიწადში 2-ჯერ (სემესტრში ერთხელ),

მინიმუმ 30 მონაწილე.

**მასწავლებლები:**

დიანა ხიდუშელი	ბიზნესის სკოლა	მოწვეული მასწავლებელი
თამარ მაღალაშვილი	ბიზნესის სკოლა	ასოცირებული პროფესორი
ნანა დიხამინჯია	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და საინჟინრო ფაკულტეტი	სრული პროფესორი

**2. ვიდეო როგორც სწავლის საშუალება**

**კურსის მიზნები**

კურსი ეხება ვიდეოს როგორც სასწავლო ინსტრუმენტის გამოყენებას სწავლა/სწავლების პროცესში და პრაქტიკულ ქეისებს როგორც საკლასო ასევე კლასგარეშე მეცადინეობისთვის, ასევე იმ ინსტრუმენტებს, რომელსაც იყენებენ მასწავლებლები სტუდენტთა მოტივაციისა და ჩართულობის გაზრდის მიზნით სწავლის ხარისხის ასამაღლებლად.

არსებობს სწავლების პროცესში ვიდეოს გამოყენების სხვადასხვა გზები. ამ კურსის განმავლობაში აკადემიურ პერსონალს/სწავლების პროცესში ჩართულ პირებს ექნებათ საშუალება გაეცნონ ვიდეოს გამოყენების სხვადასხვა სტრატეგიებს საკლასო თუ კლასგარეშე მეცადინეობის დროს. მონაწილეები გაეცნობიან და განიხილავენ სწავლების პროცესში ვიდეოს გამოყენების როლს, იმპლიკაციებს და გამოწვევებს.

**სწავლების შედეგები და შინაარსი**

კურსის დასასრულს, ტრენინგის მონაწილეებს ეცოდინებათ:

- როგორ დაგეგმონ და ჩაატარონ გაკვეთილი შებრუნებული, ინტერაქტიული და სწავლების ონლაინ საშუალებებითა და სტრატეგიით;
- ვიდეოს, როგორც სასწავლო ინსტრუმენტის კონტექსტუალიზება და გამოყენება სწავლა/სწავლებაში;

**სამიზნე აუდიტორია და/ან წინაპირობები**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი/სწავლების პროცესში ჩართული პირი, რომელიც მოცემული დროისთვის უძღვება მინიმუმ ერთ კურსს, რომელიც ითვალისწინებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას სალექციო პროცესში.

**კრედიტების რაოდენობა და/ან საათობრივი დატვირთვა**

კურსი გრძელდება 5 დღეს, 10 საათიანი სალექციო დატვირთვით.

**ტექსტები და დამხმარე სასწავლო მასალები**

იხილეთ დანართი #1 კურსის სამუშაოსა და სასწავლო მასალებთან დაკავშირებით (PRINTeL Project EU partner U.PORTO TOT ტრენინგების გეგმა/სილაბუსი ადაპტირებული ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სატრენინგო კურსისთვის).

**კურსის ჩატარების სიხშირე და მონაწილეთა მაქსიმალური რაოდენობა**

კურსი ჩატარდება წელიწადში 2-ჯერ (სემესტრში ერთხელ). მონაწილეთა მინიმალური რაოდენობა 30.

**მასწავლებლები:**

ნამი სურგულაძე	ბიზნესის სკოლა	მოწვეული მასწავლებელი
რესანი ქიქავა	ბიზნესის სკოლა	ასისტენტ-პროფესორი
ალექსანდრე ერგეშიძე	ბიზნესის სკოლა	ასისტენტ-პროფესორი

**3. აქტიური სწავლება შეზღუდული სწავლების პრინციპით**

**კურსის მიზნები**

ტრენინგ კურსი მსმენელებს გააცნობს შეზღუდული სწავლების პრინციპს, სადაც ის აქტივობები, რომლებიც ტრადიციულად აუდიტორიაში კეთდებოდა, გადაინაცვლებს აუდიტორიის გარეთ და პირიქით. ამ პრინციპის თანახმად, მასწავლებელი ამზადებს ვიდეო ლექციებს ან სხვა სახის მულტიმედია რესურსებს, რომლებსაც სტუდენტები იყენებენ მეცადინეობამდე მასალის მოსამზადებლად. სალექციო დრო კი დაეთმობა კითხვა-პასუხსა და პრობლემის გადაჭრაზე დაფუძნებულ ჯგუფურ აქტივობებს. ეს მიდგომა ხელს უწყობს სტუდენტთა გააქტიურებას და ხარისხიან სწავლას.

ამ კურსში ტრენინგები განიხილავენ თუ როგორ უნდა დაიგეგმოს საკლასო აქტივობები და როგორ მომზადდეს კლასგარეშე მასალა. სესიები მიემდგვნება კლასში ინტერაქტიული ინსტრუმენტებისა და მულტიმედია პრეზენტაციების მომზადებასა და გამოყენებას.

**სწავლების შედეგები და შინაარსი**

კურსის მონაწილეები დაეუფლებიან სასწავლო ინსტრუმენტებსა და უნარებს, რაც დაკავშირებულია

- აქტიური სწავლების დანერგვასთან, კერძოდ, კი შეზღუდული სწავლების პრინციპების გათვალისწინებით სასწავლო კურსების მოდიფიკაციასთან;
- ისეთი საკლასო აქტივობების დანერგვასთან, როგორცაა ჯგუფურად პრობლემის გადაჭრა და სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენება თანამშრომლობის გაძლიერებისთვის;
- ეფექტური რესურსების მომზადებასთან, სალექციო საათებამდე მასალის დამოუკიდებლად სამეცადინოდ;

**სამიზნე აუდიტორია და/ან წინაპირობები**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი/სწავლების პროცესში ჩართული პირი, რომელიც მოცემული დროისთვის უძღვება მინიმუმ ერთ კურსს, რომელიც ითვალისწინებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას სალექციო პროცესში.

**კრედიტების რაოდენობა და/ან საათობრივი დატვირთვა**

კურსი გრძელდება 5 დღეს, 10 საათიანი სალექციო დატვირთვით.

**ტექსტები და დამხმარე სასწავლო მასალები**

იხილეთ დანართი #1 კურსის სამუშაოსა და სასწავლო მასალებთან დაკავშირებით (PRINTeL Project EU partner LiU TOT ტრენინგების გეგმა/სილაბუსი ადაპტირებული ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სატრენინგო კურსისთვის).

**კურსის ჩატარების სიხშირე და მონაწილეთა მაქსიმალური რაოდენობა**

კურსი ჩატარდება წელიწადში 2-ჯერ (სემესტრში ერთხელ).

მონაწილეთა მინიმალური რაოდენობა 30.

**მასწავლებლები:**

ლევან ცაგარელი	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი	სრული პროფესორი
თამარ გურჩიანი	სამართლის სკოლა	ასოცირებული პროფესორი
დავით მაისურაძე	სამართლის სკოლა	ასოცირებული პროფესორი

#### 4. აქტიური სწავლება საინფორმაციო/საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;

##### კურსის მიზნები

ტრენინგ კურსის მიზანია გააძლიეროს სტუდენტთა აქტიური სწავლება ტექნოლოგიების გამოყენებითა და კოლაბორაციული სწავლების გზით. ეს მიდგომა დაეხმარება მასწავლებელს ჩაანაცვლოს მონოლოგის რეჟიმში მიმდინარე ტრადიციული სწავლების მოდელი დიალოგითა და სტუდენტების მეტი ჩართულობით, რასაც დასჭირდება მეცადინეობის შესაბამისად დაგეგმვა და ჩატარება.

##### სწავლების შედეგები და შინაარსი

კურსის მონაწილეებს ეცოდინებათ:

- რას ნიშნავს აქტიური სწავლება, სტუდენტების გააქტიურება/ჩართვა და ამ პროცესის სტიმულირება, კერძოდ, რა ინსტრუმენტების საშუალებით მიიღწევა კოლაბორაციული სწავლება ტექნოლოგიების გამოყენებით;
- როგორ გამოიყენონ კონკრეტული ტექნოლოგია პედაგოგიურად სწორი დანიშნულებით;
- როგორ დანერგონ აქტიური და კოლაბორაციული სწავლება.

##### სამიზნე აუდიტორია და/ან წინაპირობები

წინასწარი პერსპექტივებისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიის თანახმად, სამიზნე აუდიტორია უნდა იყოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი/სწავლების პროცესში ჩართული პირი, რომელიც მოცემული დროისთვის უძღვება მინიმუმ ერთ კურსს, რომელიც ითვალისწინებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას სალექციო პროცესში.

##### კრედიტობის რაოდენობა და/ან საათობრივი დატვირთვა

კურსი გრძელდება 5 დღეს, 10 საათიანი სალექციო დატვირთვით.

##### ტექსტები და დამხმარე სასწავლო მასალები

იხილეთ დანართი #1 კურსის სამუშაოსა და სასწავლო მასალებთან დაკავშირებით (PRINTeL Project EU partner KU Leuven TOT ტრენინგების გეგმა/სილაბუსი ადაპტირებული ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სატრენინგო კურსისთვის).

##### კურსის ჩატარების სიხშირე და მონაწილეთა მაქსიმალური რაოდენობა

კურსი ჩატარდება წელიწადში 2-ჯერ (სემესტრში ერთხელ). მონაწილეთა

მინიმალური რაოდენობა 30.



**მასწავლებლები:**

თინათინ ჭინჭარაული	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი	სრული პროფესორი
ნატა მეფარიშვილი	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი	ასოცირებული პროფესორი
მარიამ დალაქიშვილი	ბიზნესის სკოლა/მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი	ასისტენტ პროფესორი

**5. ჰიბრიდული/შერეული**

**სწავლება**

**კურსის მიზნები**

ტრენინგ კურსი მიზნად ისახავს მონაწილეებს გააცნოს ჰიბრიდული/შერეული სწავლება, როგორც ახალი მეთოდოლოგია, მისი კონცეფციები, მიდგომა, საჭირო ინფრასტრუქტურა და მიმოიხილოს ამგვარი პედაგოგიური პერსპექტივა კონკრეტული ქეისების თანხლებით.

კურსი ითვალისწინებს დისკუსიებს ახალი მეთოდოლოგიების ინტეგრირების, კურსის მუდლის პლატფორმაზე მიზნის, ონლაინ სწავლების სცენარების, პროექტის ონლაინ მენეჯმენტისთვის საჭირო ინსტრუმენტების შესწავლას

**სწავლების შედეგები და შინაარსი**

კურსის დასრულების შემდეგ მონაწილეებს ეცოდინებათ:

- ჰიბრიდული/შერეული სწავლების კონცეფცია;
- საჭირო ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის ინტეგრაცია (მაგ. მუდლი) და სასწავლო პლატფორმად გამოყენება, რაც ხელს უწყობს კურსის ადმინისტრირებას, სასწავლო მასალის მიწოდებას, შეფასებას და მასწავლებლისა და მოსწავლის კომუნიკაციას.
- როგორ შექმნას და აწარმოოს ელექტრონული პორტფოლიო, როგორც სწავლის, სწავლებისა და შეფასების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი;
- სწავლა/სწავლებაში მულტიმედია პროდუქტების გამოყენების პრინციპები;
- თეორიასა და პრაქტიკაში ონლაინ მენეჯმენტის სისტემების გამოყენება;
- ინტერკულტურული ელემენტები და სწავლებაში კულტურული ასპექტების საგანმანათლებლო მიზნით გამოყენება.

**სამიზნე აუდიტორია და/ან წინაპირობები**

წინასწარი პერსპექტივებისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიის თანახმად, სამიზნე აუდიტორია უნდა იყოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი/სწავლების პროცესში ჩართული პირი, რომელიც მოცემული დროისთვის უძღვება მინიმუმ ერთ კურსს,

რომელიც ითვალისწინებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას სალექციო პროცესში.

**კრედიტობის რაოდენობა და/ან საათობრივი დატვირთვა**

კურსი გრძელდება 5 დღეს, 10 საათიანი სალექციო დატვირთვით.

**ტექსტები და დამხმარე სასწავლო მასალები**

იხილეთ დანართი #1 კურსის სამუშაოსა და სასწავლო მასალებთან დაკავშირებით (PRINTeL Project EU partner FHJ TOT ტრენინგების გეგმა/სილაბუსი ადაპტირებული ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სატრენინგო კურსისთვის).

**კურსის ჩატარების სიხშირე და მონაწილეთა მაქსიმალური რაოდენობა**

კურსი ჩატარდება წელიწადში 2-ჯერ (სემესტრში ერთხელ). მონაწილეთა

მინიმალური რაოდენობა 30.

მასწავლებლები:

გიგა ხოსიტაშვილი	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი	ლექტორი
არჩილ აბაშიძე	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი	ასოცირებული პროფესორი
ელენე ჟურავლიოვა	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და საინჟინრო ფაკულტეტი	ასოცირებული პროფესორი

### 3.2. მეთოდური კონსულტაციები

პედაგოგიური კონსულტაციების მიმართულებით მუშაობის სტრატეგია ჯერჯერობით არ არის განსაზღვრული, რადგან ცენტრი ახალი დაარსებულია და საპილოტე პროცესში ჯერ არ არსებობს გამოცდილება და გამოკვეთილი საჭიროებები.

### 3.3. სემინარები, სამუშაო შეხვედრები და კონფერენციები

ცენტრი გეგმავს რამოდენიმე სემინარისა და სამუშაო

შეხვედრის მოწყობას:

**საერთაშორისო კონფერენცია აკადემიური**

**კეთილსინდისიერების პრინციპების შესახებ**

Erasmus+ CBHE 2017 Call დაფინანსებული პროექტის „აკადემიური კეთილსინდისიერება ხარისხიანი სწავლისა და სწავლებისთვის ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (INTEGRITY) ფარგლებში 2019 წლის სექტემბერში ან 2020 წლის მაის/ივნისში იგეგმება დასკვნითი საერთაშორისო აკადემიური კონფერენცია პლაგიატისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების პოპულარიზაციის მიზნით, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები. კონფერენციაზე წარმოდგენილი იქნებიან მოდერატორები და მოწვეული სტუმრები დიდი ბრიტანეთიდან, ირლანდიიდან, ავსტრიიდან, შვედეთიდან და საქართველოდან. კონფერენციის ორგანიზატორი იქნება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრთან თანამშრომლობით.

### 3.4. ცნობადობა და თანამშრომლობა

ცენტრი ხელს შეუწყობს აკადემიური პერსონალის/სწავლების პროცესში ჩართულ პირთა თანამშრომლობას როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო მასშტაბით. ამ მიზნით ცენტრი:

- შექმნის სპეციალურ ვირტუალურ სივრცეს/ფორუმებს მასწავლებლებისა და იმ პერსონალისთვის, ვინც მონაწილეობას იღებს ცენტრის

ლონისძიებებში. აღნიშნული სივრცის/ფორუმების გამოყენება შესაძლებელი იქნება ყოველდღიურად აქტუალური თემების განხილვისა და აზრთა/ინფორმაციის გაცვლის მიზნით.

- ხელს შეუწყობს ფართომასშტაბიან თანამშრომლობას - 15 ტრენერს, რომელთაც გავლილი აქვთ ტრენერთა მომზადების ტრენინგი და მათგან გადამზადებულ 150 მასწავლებელს, შესაძლებლობა მიეცემათ ითანამშრომლონ კონსორციუმში მონაწილე პარტნიორი უნივერსიტეტების მასწავლებელთა პერსონალთან რათა შექმნან საერთაშორისო ფორუმი და მასწავლებელთა ქსელი, სადაც გაცვლიან იდეებს, მეთოდებს, საშუალებებსა და სხვა ინსტრუმენტებს.
- მოაწივებს სხვადასხვა ღონისძიებებს - სემინარებს, დისკუსიებს, არაოფიციალურ შეხვედრებს და სხვ. რათა გაიზარდოს მასწავლებელთა პერსონალის ჩართულობა ცენტრში და დისკუსიების ინიცირება, რაც თავის მხრივ, შემდგომში ხელს შეუწყობს ლექციებზე სწავლების შედეგების გაუმჯობესებას.

### 3.5. განვითარებაზე ორიენტირებული პროექტები

ცენტრი განახორციელებს რამოდენიმე პროექტს განვითარების მიზნით:

#### **„აკადემიური კეთილსინდისიერება ხარისხიანი სწავლისა და სწავლებისთვის ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (INTEGRITY)**

პროექტის უმთავრესი ამოცანაა სწავლების ხარისხისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესება, რათა ის დაეფუძნოს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს და იზიარებდეს იმ პოლიტიკას, მექანიზმებსა და მიდგომებს, რაც გამოავლენს და აღკვეთავს საქართველოს უმაღლესი განათლების დაწესებულებებში პლაგიატის შემთხვევებს.

#### **„შეფასების მექანიზმები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ახლებური სასწავლო გარემოს ჩამოსაყალიბებლად“ (ASSET)**

პროექტი მიზნად ისახავს შეფასების არსებული მეთოდების გადახედვასა და შეფასებას, სწავლებისა და შეფასების ისეთი სისტემის დანერგვას, რაც ყველაზე უკეთ იქნება მორგებული სწავლის პროცესში სტუდენტთა საჭიროებებზე. ამ პროექტის ფარგლებში ა) აკადემიური პერსონალი გაივლის ტრენინგს მიმდები უნივერსიტეტის მხრიდან და ბ) ტრენინგ პროგრამებში დაინერგება შეფასების ახალი ინსტრუმენტები.

## ცვლილება საკლასო ოთახში: ინოვაციური სწავლებისა და სწავლის წახალისება სტუდენტთა სასწავლო გამოცდილების გასაუმჯობესებლად აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“ (PRINTeL)

პროექტის მიზანია გააღრმავოს პარტნიორ ქვეყნებში სტუდენტთა სასწავლო გამოცდილება, ევროკომისიის განათლებისა და ტრენინგების 2020 წლის მიზნების შესაბამისად (ET 2020 Objectives). პროექტი მიზნად ისახავს განავითაროს სწავლა/სწავლების მეთოდები ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენების საშუალებით.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარების სამსახური მჭიდროდ ითანამშრომლებს აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრთან და ცენტრის მუშაობისას გამოკვეთილი საჭიროებებისა და გამოწვევების შესაბამისად, ხელს შეუწყობს პროექტებისა და რესურსების მოზიდვას საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებიდან და პარტნიორი ინსტიტუტებიდან.

## 4. ორგანიზაციული და სამოქმედო ასპექტები

### 4.1. ორგანიზაციული სტრუქტურა

აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრი იქმნება ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ბაზაზე, რომელიც უზრუნველყოფს მის ადმინისტრირებას, ხოლო ცენტრის შინაარსსა და ხარისხზე პასუხისმგებელი იქნებიან ფაკულტეტებისა და სკოლების ხარისხის მართვის სამსახურები. შინაარსი და ხარისხი განისაზღვრება საჭიროებების კვლევის საფუძველზე, სათანადო დაგეგმვითა და მუშაობის შედეგების შეფასებით (იმის ჩათვლით, თუ რა შედეგი იქნა მიღწეული უშუალოდ სალექციო პროცესში). ის ტრენინგები, რომლებიც გადამზადდნენ ტრენინგებზე, ჩართული იქნებიან როგორც პერსონალის დატრენინგების ასევე ახალი ტრენინგების მომზადების პროცესში.

ცენტრს მართავს საბჭო, რომლის შემადგენლობაში არიან: HR-ის სამსახურის უფროსი, ხარისხის მართვის ცენტრალური სამსახურისა და ფაკულტეტების/სკოლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების უფროსები, რექტორის მოადგილე სწავლებისა და კვლევის მიმართულებით, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. საბჭომ შესაძლოა მოიწვიოს უნივერსიტეტიდან დამატებითი პერსონალი, რომელიც იმუშავებს სპეციფიკური მიმართულებით და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს.

საბჭო ოფიციალურად შეიკრიბება წელიწადში ოთხჯერ, სადაც ფაკულტეტების/სკოლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსები წარმოადგენენ კვარტალურ ანგარიშს. საბჭო განიხილავს მოხსენებას და გასცემს

რეკომენდაციებს პროგრამებისა და სამუშაო ღონისძიებების გაუმჯობესების მიზნით. წელიწადში ერთხელ საბჭო შეიმუშავებს და დაამტკიცებს წლიურ სამოქმედო გეგმას, რომელიც დაფუძნებული იქნება გამოკვეთილ საჭიროებებსა და მათ შეფასებაზე და რომელსაც ექნება სახელმძღვანელო ფუნქცია ცენტრის მუშაობისთვის.

## 4.2. მოვალეობები

აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრი იქმნება ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ბაზაზე და მის მართვას განახორციელებს სწორედ ეს სამსახური. ადამიანური რესურსების მართვის სამსახური იმუშავებს შემდეგი მიმართულებებით:

- მონაწილეობას მიიღებს ცენტრისა და მისი სტრუქტურის განვითარებაში;
- შექმნის და პერიოდულად განახლებს ტრენერთა ბაზას.
- ორგანიზებას გაუწევს ტრენინგების ჩატარებას;
- კოორდინირებას გაუწევს უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებს-დაინტერესებულ მხარეებს;
- ჩაატარებს კვლევას ტრენინგებთან დაკავშირებულ საჭიროებებზე;
- აღნიშნულ მოკვლევებზე დაყრდნობით, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური გამოიყენებს როგორც ადგილობრივ, ასევე გარე რესურსებს გამოკვეთილ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად;
- ორგანიზებას გაუწევს ცენტრის სხვადასხვა ღონისძიებებს - სემინარებს, დისკუსიებს, არაოფიციალურ შეკრებებს და სხვა;
- ცენტრს დახმარებას გაუწევს ადმინისტრაციული და ლოჯისტიკური მომსახურების თვალსაზრისით;
- ცენტრის ოფიციალური კორესპონდენციის მართვა.

ფაკულტეტების/სკოლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებს ექნებათ მჭიდრო თანამშრომლობა ადამიანური რესურსების მართვის სამსახურთან, მათ დაევალებათ ჩაერთონ შეფასებაში, კვლევაში, ტრენინგისთვის ხარისხიანი პროგრამის მომზადებასა და ადგილზე მონიტორინგში. ტრენინგის მასალების მომზადება არის იმ ტრენერთა მოვალეობა, რომლებმაც პროექტის ფარგლებში გაიარეს ტრენერთა ტრენინგები. საჭიროების შემთხვევაში, აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრის საბჭოს შეუძლია დანიშნოს პასუხისმგებელი პირი, რომელიც იმუშავებს სატრენინგო კურსის მასალების მომზადებაზე.

აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრის მუშაობასა და ტრენინგების ეფექტიანობას შეაფასებს უნივერსიტეტის ცენტრალური

ხარისხის მართვის სამსახური. პასუხისმგებლობები, მოვალეობები და პროცედურა აღწერილია 4.4 თავში.

### 4.3. მარკეტინგი და კომუნიკაცია

ცენტრის საკომუნიკაციო ღონისძიებებს (შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეებთან) წარმართავს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური (PR), რომელიც უზრუნველყოფს სამიზნე აუდიტორიაში ცენტრის შესახებ ცნობადობის ამაღლებას და ინფორმაციის გავრცელებას.

უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ([www.iliauni.edu.ge](http://www.iliauni.edu.ge)) გამოიყოფა სპეციალური სივრცე, რომელზე გადასვლაც შესაძლებელი იქნება მთავარი გვერდიდან ცენტრის სარეკლამო ბანერის მეშვეობით. აღნიშნულ სივრცეში განთავსდება ინფორმაცია ცენტრის, მისი მისიის, მიზნებისა და ღონისძიებების შესახებ. აქვე იქნება ცენტრის ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის შემცველი ტექსტური, ფოტო თუ ვიდეო მასალები. ვებ-გვერდზე განსათავსებელი ინფორმაციის მიწოდება შიდა დაინტერესებული პირებისა თუ სამიზნე ჯგუფებისთვის მოხდება კორპორატიული ელექტრონული ფოსტისა და არგუსის მეშვეობით.

ცენტრის სიახლეებისა და ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გავრცელება მოხდება უნივერსიტეტის სოციალური მედია არხებისა და ონლაინ მედიის საშუალებით (ტრენინგები, სამუშაო შეხვედრები, კონფერენციები და სხვა);

ადამიანური რესურსების მართვის სამსახურიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მოხდება ყველა საკომუნიკაციო არხის რეგულარული განახლება.

ამჟამად ცენტრი არის პილოტირების ეტაპზე, აქედან გამომდინარე, გარე დაინტერესებულ პირებსა და სხვა უნივერსიტეტების წარმომადგენლებს ცენტრი ამ ეტაპზე ვერ შესთავაზებს ფასიან კურსებს, რადგან ამ თვალსაზრისით მარკეტინგული ღონისძიებები არ დაგეგმილა. როდესაც ცენტრი დააპირებს კომერციული კურსების შეთავაზებას, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური შეიმუშავებს მარკეტინგულ გეგმას, წარუდგენს ცენტრის საბჭოს და განახორციელებს საჭირო ქმედებებს.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური იზრუნებს ცენტრისთვის საჭირო საინფორმაციო მასალების, პუბლიკაციების, სერტიფიკატების თუ წიგნების დიზაინსა და დაბეჭდვაზე.

#### 4.4. ხარისხის უზრუნველყოფა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სამსახურის პოლიტიკა მუშაობს უნივერსიტეტის მისიის შესრულებაზე. ის წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრატეგიული მართვის ძირითად ერთეულს და მისი მიზანია, უნივერსიტეტმა მიაღწიოს დასახულ სტრატეგიულ მიზნებს, რომელთა შორის არის პროფესიული განვითარების მიმართულებაც.

ხარისხის შიდა სამსახურის პოლიტიკა ეფუძნება შემდეგ ფუნდამენტურ პრინციპებს:

- გამჭვირვალობა და თანამშრომლობა;
- მონაწილეობითი ჩართულობა;
- მუდმივი განვითარება;
- აკადემიური კეთილსინდისიერება და თავისუფლება;
- ანგარიშვალდებულება

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პოლიტიკა გულისხმობს, ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით მიმდინარე პროცესებს და პროცედურებს, რომლებიც განაპირობებენ უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას ძირითადი მიმართულებებით (მაგ. განათლება, კვლევა, სტუდენტური სერვისები, პროფესიული განვითარება, და სხვა), რაც გულისხმობს სისტემურ, საჭიროებებზე დაფუძნებულ შეფასების პროცესებსა და პროცედურებს, ისევე როგორც გადაწყვეტილების მიმღებ ერთეულებს შორის შეფასების რეგულარულ გაზიარებას.

სისტემური და საჭიროებებზე დაფუძნებული შეფასებები ტარდება სათანადო თვისობრივი, ხარისხობრივი და შერეული მეთოდების გამოყენებით. შეფასების პროცესები და პროცედურები დიდწილად ემყარება შემდეგ სტანდარტებს<sup>1</sup> :

- გამოყენება - რამდენად სასარგებლოა შეფასების პროცესები და შედეგები დაინტერესებული პირებისთვის;
- პრაქტიკულობა- რამდენად რეალისტური, ეფექტიანი და ეფექტურია შეფასების პროცესი;
- კორექტულობა – შეფასების პროცესი რამდენად ეხება ისეთ საკითხებს, როგორცაა ეთიკა, კონფიდენციალობა, შედეგების გამჭვირვალობა;
- სიზუსტე - შეფასების პროცესი და მისი შედეგები რამდენად სანდო და ვალიდურია;
- შეფასების ანგარიშვალდებულება- შეფასების პროცესი რამდენად დოკუმენტურად ასახული, გაანალიზებული (მაგ. გარე შეფასება) და გაუმჯობესებულია.


აღნიშნული კონტექსტის გათვალისწინებით, ცენტრის მუშაობა შეფასდება სპეციალური შიდა ინსტრუმენტებითა და მექანიზმებით (იხ. დანართი #1 და #2)



რომლებიც გამოკვეთავს, თუ რამდენად შეესაბამება ცენტრის მუშაობა დასახულ მიზნებს. ცენტრი რეგულარულად შეფასდება სისტემური შეფასების მეთოდებით, რაც გამოკვეთავს ცენტრის მუშაობის ეფექტურობას. საჭიროებების კვლევა ჩატარდება იმ შემთხვევაში, თუ ცენტრის მუშაობისას წარმოქმნილი პრობლემა მოითხოვს მიზნობრივ სიღრმისეულ ანალიზს. ამგვარი შეფასება, ხშირად მოითხოვს პრობლემის ასევე მიზნობრივ გადაჭრას. როგორც სისტემური, ასევე საჭიროებების კვლევები ტარდება წინასწარ განსაზღვრული ან საგანგებოდ შემუშავებული ინსტრუმენტებით.

კურსების შემუშავებისა და დამტკიცებისას ცენტრი ხელმძღვანელობს ქვემოთ მოცემული პროცედურებით:


**ცხრილი #1 ტრენინგ კურსების შემუშავება და დამტკიცება**



ცენტრის კურსების შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურა:

<sup>1</sup><http://www.icsee.org/program-evaluation-standards-statements>

- პროგრამის მენეჯმენტის (დიზაინი, განვითარება და შეფასება), სწავლებისა (სწავლება, სწავლა და შეფასება) და კვლევის მიმართულებით, პროფესიული განვითარების კურსი შესაძლოა შეიმუშავონ აკადემიური პროგრამის ხელმძღვანელებმა, ფაკულტეტის დეკანებმა, კვლევითმა ცენტრებმა, ასევე როგორც ადმინისტრაციულმა ერთეულებმა, თუ ის შეეხება საგანმანათლებლო და კვლევის პროცესებს;
- ცენტრის კოორდინატორებს აქვთ უფლება გადაწყვიტონ ვის შეუძლია პროფესიული განვითარების კურსების შემუშავება სათანადო ინსტრუქტორებისა და რესურსების შერჩევის გზით. კურსები უნდა შემუშავდეს სპეციფიური მოთხოვნების გათვალისწინებით (იხ. დანართი #3);
- პროფესიული განვითარების კურსის თემატიკის გათვალისწინებით, კურსის სილაბუსი/კურიკულუმი განსახილველად და დასამტკიცებლად ეგზავნება შესაბამისი ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს;
- სკოლები/ფაკულტეტები დამტკიცებულ კურსს გადაუგზავნიან აკადემიურ საბჭოს შემდგომი განხილვისა და დამტკიცების მიზნით. ხარისხის სამსახურის შეფასების საფუძველზე, აკადემიური საბჭო იღებს კურიკულუმის დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილებას;
- აკადემიური საბჭოს მიერ კურიკულუმის დამტკიცებისთანავე, ცენტრის კოორდინატორები და ადამიანური რესურსების მართვის სამსახური უზრუნველყოფენ კურსის ჩატარებას.



- მასწავლებელთა და მკვლევართა კმაყოფილების კვლევა** – მიზნობრივ ჯგუფებში კითხვარები ვრცელდება ელექტრონულად არგუსის სისტემის მეშვეობით. შეფასების აღნიშნული ინსტრუმენტი ემსახურება სწავლა/სწავლებასა და კვლევაში პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შეფასებას. ის აგრეთვე აფასებს აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრის მუშაობის ეფექტიანობას. გამოკითხვის შედეგები მიეწოდება ფაკულტეტებს/სკოლებს, პროგრამის ხელმძღვანელებს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, ცენტრის მმართველ საბჭოს, კვლევით და ადმინისტრაციულ ერთეულებს;
- ტრენინგ გავლილი აკადემიური პერსონალის/მასწავლებლების სტუდენტებისგან შემდგარი ფოკუს ჯგუფის გამოკითხვა** – ყოველი სემესტრის ბოლოს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დატრენინგებული აკადემიური პერსონალის/მასწავლებლების სტუდენტებს შორის ჩაატარებს გამოკითხვას, რათა შეფასდეს მათი მუშაობა სალექციო პროცესში. სტუდენტებს მოეთხოვებათ შეაფასონ მასწავლებლის მიერ გამოყენებული სწავლებისა და შეფასების მეთოდების შესაბამისობა და ეფექტიანობა; გამოკითხვის შედეგები მიეწოდება ფაკულტეტებს/სკოლებს, პროგრამის ხელმძღვანელებს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, ცენტრის მმართველ საბჭოს, კვლევით და ადმინისტრაციულ ერთეულებს;
- ტრენინგის მონაწილეთა პრე და პოსტ-ინტერვენციული გამოკითხვა** – ტრენინგ კურსის მონაწილეებს მოეთხოვებათ შეავსონ პრე და პოსტ-ინტერვენციული გამოკითხვის ფორმები. შეფასების ამგვარი ინსტრუმენტის მეშვეობით ტრენინგ ადგილზევე მიიღებს შეფასებას მისი კურსის ეფექტიანობის შესახებ. კითხვარს ადგენს/მოდიფიკაციას უკეთებს თავად კურსის ტრენინგ იმგვარად, რომ გათვალისწინებული იყოს კურსის მიზნები და შინაარსი (ნიმუშები იხ. დანართი #1 და #2). გამოკითხვის შედეგები მიეწოდება ცენტრის კოორდინატორებსა და მმართველ საბჭოს.
- ტრენინგის მონაწილეთაგან შემდგარი ფოკუს ჯგუფი** – ამგვარი ჯგუფის შექმნის მიზანია შეთავაზებული კურსების გრძელვადიანი შედეგის გაზომვა. ჯგუფები შედგება ტრენინგის იმ მონაწილეთაგან, რომლებმაც პრაქტიკულად გამოიყენეს ტრენინგის შედეგად განვითარებული უნარები და კომპეტენციები სალექციო პროცესში. ამგვარი ინსტრუმენტი იძლევა ნებისმიერი ტრენინგ კურსის პრაქტიკაში გამოყენების ეფექტიანობის შეფასების საშუალებას. ფოკუს ჯგუფის გამოკითხვის შედეგების შესახებ მოხსენება მიეწოდება ცენტრის კოორდინატორებსა და მმართველ საბჭოს.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი წარმოადგენს ცენტრის ფარგლებში ციკლის მიხედვით განსახორციელებელ ღონისძიებებს.



#### 4.5. ეფექტიანობის გაზრდა

ცენტრი აქტიურად ითანამშრომლებს ბაზარზე არსებულ ტრენინგ ცენტრებთან. ბაზრის შესწავლამ აჩვენა, რომ არსებობს მაღალი ხარისხის პოპულარული ცენტრები, რომლებთან თანამშრომლობაც ორივე მხარისთვის იქნება წარმატებული. ცენტრი მოიწვევს ტრენერებს, მოაწყობს შეხვედრებს, და გამოცდილების გაზიარებასა და თანამშრომლობაზე ორიენტირებულ ღონისძიებებს .

ცენტრი მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო ასოციაციებისა და ქსელების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში (მაგ. ყოველწლიური EUA Teaching and Learning Forums, და სხვა) რათა მოხდეს საერთაშორისო საუნივერსიტეტო თემების გამოცდილების გაზიარება, ინოვაციური იდეების მოპოვება, რაც უკეთესად შეუწყობს ხელს და გააღრმავებს მასწავლებლებისა და სტუდენტების სწავლა/სწავლების გამოცდილებას.

ცენტრი ითანამშრომლებს კორპორატიული და კომერციული კანონის ცენტრთან (3CL), რომელიც სხვა ღონისძიებებთან ერთად ახორციელებს რეგულირების შედეგების ორ კვლევას (RIA). 3CL გეგმავს რეგულირების შედეგების კვლევის გაღრმავებას და ამ მიზნით, ახალი პროექტის ფარგლებში შექმნის ახალ სალექციო კურსს რეგულირების შედეგების კვლევაზე. ეს გაზრდის ამგვარი კვლევის ცნობადობას და ხელს შეუწყობს მასწავლებელთა და მკვლევართა პერსონალს

კვლევის განხორციელებისთვის საჭირო კვალიფიკაციის გაღრმავებაში.

ცენტრი ითანამშრომლებს განათლების სკოლასთან, რომელიც წარმოადგენს მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის სტრუქტურულ ერთეულს, და რომლის უმთავრესი ფუნქციაა სათანადო პროგრამების შემუშავებით უწყვეტი სწავლის უზრუნველყოფა. განათლების სკოლა, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს ცენტრისთვის ტრენერთა მომზადების ტრენინგის ორგანიზებას. განათლების სკოლა ჩართული იქნება და ითანამშრომლებს ცენტრთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან ფაკულტეტების მუდმივ და მოწვეულ პერსონალთა საჭიროებების კვლევაში და საჭირო მომსახურებით უზრუნველყოფაში.

#### 4.6. საერთაშორისო თანამშრომლობა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ხელს უწყობს მასწავლებელთა და მკვლევართა პერსონალს მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში. ბოლო წლების სტატისტიკა კი ასე გამოიყურება:

გასვლა	2015/2016	2016/2017	2017/2018	სულ
აკადემიური პერსონალი	9	39	42	90
ადმინისტრაციული პერსონალი	5	31	62	98
სულ	14	70	104	188

უნივერსიტეტი, განვითარების სამსახურის მეშვეობით, ეხმარება მასწავლებელთა (და ასევე მკვლევართა და ადმინისტრაციულ) პერსონალს განაცხადებისა და პროექტების მომზადებასა და საგრანტო პროექტებში მონაწილეობაში და ამგვარად ხელს უწყობს ინსტიტუციონალურ და ეფექტიან განვითარებაზე ორიენტირებულ ღონისძიებებს.

უნივერსიტეტმა შეიმუშავა ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია 2018-2020 წლებისთვის, რაც გულისხმობს შემდეგი ქმედებების განხორციელებას:

- ხელი შეუწყოს მასწავლებლებს მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში, რათა მათ შეძლონ პროფესიული უნარების დახვეწა საერთაშორისო პრაქტიკებისა და სტანდარტების გათვალისწინებით და ამ გამოცდილების დანერგვა;
- დაეხმაროს მასწავლებლებს უცხო ენისა და ინტერკულტურული კომპეტენციების გაუმჯობესებაში (ტრენინგები, სწავლა, პროექტები, საკონსულტაციო მომსახურება);

- ხელი შეუწყონ აკადემიურ პერსონალს/სწავლების პროცესში ჩართულ პირებს, მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო მობილობის პროგრამებში, რათა გაეცნონ უცხოურ გამოცდილებას და აიმაღლონ კვალიფიკაცია (დაახლოებით 60 მობილობა წელიწადში);
- ხელი შეუწყონ აკადემიურ პერსონალს/სწავლების პროცესში ჩართულ პირებს მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში რათა მათ შეისწავლონ და უნივერსიტეტში დანერგონ საუკეთესო პრაქტიკები;
- მასწავლებელთა და მკვლევართა გარე მობილობის გაზრდა წელიწადში 20%-ით.

ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის სისრულეში მოყვანის მიზნით, უნივერსიტეტი თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ყველაზე მჭიდრო თანამშრომლობა არსებობს ევროკომისიის უმაღლესი განათლების განვითარებისა და თანამშრომლობის სქემასთან. სქემის ფარგლებში უნივერსიტეტი თანამშრომლობს წამყვან ევროპულ უნივერსიტეტებთან, კვლევით ცენტრებთან და ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან. აღნიშნული პარტნიორობის მიზანია არსებული სასწავლო პროგრამების განახლება საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ახალი პროგრამების/კურიკულუმების შექმნა, მასწავლებელთა/მკვლევართა/ადმინისტრაციული პერსონალის კომპეტენციების გაუმჯობესება.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
 პროფესიული განვითარების კურსის მონაწილეთა წინასწარი გამოკითხვა

ტრენინგ დასახელება	
ტრენერის სახელი და გვარი	
ტრენინგის თარიღი	

1. რომელ დარგს ასწავლით? \_\_\_\_\_
  
2. როგორია თქვენი პედაგოგიური გამოცდილება?
  - 0-4 წელი
  - 5-10 წელი
  - 11-20 წელი
  - 20 წელზე მეტი
  
3. როგორია სწავლების ხვედრითი წილი თქვენს საქმიანობაში?
  - 0% - 25%
  - 25% - 50%
  - 50% - 75%
  - 75% - 100%
  
4. დასახელებთ თქვენს პედაგოგიურ განვითარებასთან დაკავშირებული მთავარი გამოწვევები (ჩამონათვალში შეარჩიეთ სამი):
  - დრო (არ მაქვს დრო იმისთვის, რათა ჩემს პედაგოგიურ განვითარებაზე ვიზრუნო.)
  - აღჭურვილობა (შეზღუდული წვდომა მაქვს კომპიუტერებზე, აუდიტორიებზე და ა.შ.)
  - ტექნიკური მხარდაჭერა (არავინ მეგულება, ვისაც მივმართავდი ტექნიკური პრობლემების შემთხვევაში.)
  - პედაგოგიური მხარდაჭერა (არ მეგულება ექსპერტი, რომელსაც მივმართავდი პედაგოგიკასთან დაკავშირებული კითხვებით.)
  - პროფესიული განვითარება (არ მოიპოვება კურსები, რომლებზეც მექნებოდა ჩემი კომპეტენციის განვითარების შესაძლებლობა.)
  - როლების ბუნდოვანი განაწილება (არ ვიცი, ვინ არის პასუხისმგებელი პედაგოგიურ განვითარებაზე.)
  - იდეები (წარმოდგენა არ მაქვს, როგორ უნდა განვახორციელო ჩემი კურსი.)
  - ადმინისტრაციის დამოკიდებულება (პედაგოგიური განვითარება არ ფასდება.)
  - კოლეგები (სამუშაო გარემო არ უწყობს ხელს პედაგოგიურ განვითარებას.)
  - სტუდენტები (სტუდენტები არ ემხრობიან ახალი მეთოდების გამოყენებას.)
  
5. როგორ შეიტყვეთ შემოთავაზებული ტრენინგის შესახებ?
  - უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე
  - არგუსით



- ელ. ფოსტით
- ფეისბუკით
- კოლეგისგან
- სხვა \_\_\_\_\_

5-ბალიან სკალაზე, გთხოვთ შეაფასოთ შემდეგი:

1	აქტიურ სწავლებასა და შეტრიალებულ გაკვეთილთან დაკავშირებული თქვენი ცოდნა და უნარები	1	2	3	4	5
2	ტრენინგის სიალბუსში აღწერილი საკითხები და კომპეტენციები ხელს შეიწყობს სტუდენტების სწავლის პროცესის გაუმჯობესებას	1	2	3	4	5

**6. როგორია თქვენი მოლოდინი ტრენინგთან მიმართებაში?**

---



---



---



---

გთხოვთ, ჩამოთვალოთ სამი უნარი ან კომპეტენცია, რომლის დაუფლებას ისურვებდით ამ ტრენინგის ფარგლებში?

1. \_\_\_\_\_
2. \_\_\_\_\_
3. \_\_\_\_\_

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
 პროფესიული განვითარების კურსის მონაწილეთა გამოკითხვა (ტრენინგის დასრულების შემდეგ)

ტრენინგის დასახელება	
ტრენერის სახელი და გვარი	
ტრენინგის ჩატარების თარიღი	

**ზოგადი უკუკავშირი ტრენინგთან დაკავშირებით**

- ამ ტრენინგის გავლას ვურჩევ ჩემ კოლეგებს  
 დიახ  არა
- თემატიკიდან გამომდინარე, ტრენინგი იყო:  
 (მალიან) მოკლე  სათანადო ხანგრძლივობის  (მალიან) გრძელი
- ტრენინგმა გააუმჯობესა ჩემი სწავლების უნარები/ცოდნა შემოთავაზებული სწავლების მეთოდების შესახებ  
 დიახ  არა

**ტრენერი**

1	რამდენად ეფექტურად წარმართა ტრენერმა სწავლების პროცესი?	1	2	3	4	5
2	რამდენად პასუხობდა ტრენერი თქვენს კითხვებს/თქვენს მიერ წამოჭრილ საკითხებს?	1	2	3	4	5
3	რამდენად კარგად იყო მომზადებული ტრენერი?	1	2	3	4	5

**ტრენინგის შინაარსი**

1	ტრენინგის მიზანი მკაფიოდ იყო ჩამოყალიბებული.	1	2	3	4	5
2	ტრენინგი იყო პრაქტიკული და სასარგებლო.	1	2	3	4	5
3	ტრენინგის სილაბუსში აღწერილი საკითხები და კომპეტენციები ხელს შეუწყობს სტუდენტების სწავლის პროცესის გაუმჯობესებას.	1	2	3	4	5
4	ტრენინგის მასალებს გამოვიყენებ ჩემს პრაქტიკაში.	1	2	3	4	5
5	გთხოვთ, შეაფასეთ ტრენინგის ფარგლებში შეძენილი ცოდნა და უნარები.	1	2	3	4	5

**გარემო**

1	სასწავლო გარემო (სასწავლო სივრცე, აღჭურვილობა, მასალები და ა.შ.) შეესაბამებოდა ტრენინგის საჭიროებებს	1	2	3	4	5
---	--	---	---	---	---	---

**სამომავლო გეგმები**

1. გეგმავთ თუ არა გამოიყენოთ ტრენინგის ფარგლებში შეძენილი ცოდნა და უნარები თქვენს პრაქტიკაში?

- დიახ  არა

(დადებითი პასუხის შემთხვევაში, გადადით მეორე კითხვაზე)

2. როდის გეგმავთ ახალი მეთოდის დანერგვას თქვენს სასწავლო კურსში/კურსებში?

ტრენინგის დასრულებისთანავე

მომავალ სემესტრში

მომავალ სასწავლო წელს

სხვა \_\_\_\_\_

**გეგვიზიარეთ თქვენი მოსაზრებები**

ტრენინგზე ყველაზე სასარგებლო იყო...	ტრენინგზე ნაკლებად სასარგებლო იყო..
ვისურვებდი, უფრო მეტი ინფორმაცია მქონოდა...	თქვენი კითხვები და კომენტარები

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
 პროფესიული განვითარების კურსის სილაბუსის ნიმუში

კურსის დასახელება	[მიუთითეთ პროფესიული განვითარების კურსის დასახელება]
კურსის მიზნები	[მიუთითეთ კურსის ცენტრალური მიზნები. კურსის მიზანი უნდა იყოს ნათელი, კონკრეტული, მიღწევადი კურსის შინაარსის, რესურსებისა და მონაწილეთა სამუშაო დატვირთვის გათვალისწინებით]
კურსის შედეგები	[ჩამოწერეთ სწავლის ძირითადი შედეგები; კურსის განმავლობაში შეძენილი ცოდნა, კომპეტენციები, ღირებულებები. გაითვალისწინეთ ე.წ. SMART-ის კრიტერიუმები და კურსის ცენტრალური მიზნები].
კურსის აღწერა	[მოკლედ აღწერეთ კურსი. მიუთითეთ ძირითადი თემები, სეგმენტები, ერთეულები].
ტრენერი	[დაასახელეთ კურსის ტრენერ(ებ)ი, მისი სტატუსი და საკონტაქტო ინფორმაცია].
საათების რაოდენობა	[მიუთითეთ კურსისთვის საჭირო სალექციო საათების რაოდენობა და ასევე მონაწილეთა დამოუკიდებელი მუშაობისთვის საჭირო საათების რაოდენობა, თუ კურსი ითვალისწინებს საშინაო დავალებების მიცემას].
კურსის ხანგრძლივობა	[მიუთითეთ კურსისთვის საჭირო დღეების/კვირების/თვეების რაოდენობა].
სამიზნე აუდიტორია	[განსაზღვრეთ სამიზნე აუდიტორია; ახალბედა/სამუშალო/უფროსი თაობის მასწავლებლები; აკადემიური პროგრამის მენეჯერები/ხელმძღვანელები, მკვლევრები, ა.შ.]
მონაწილეთა რაოდენობა (მინ. და მაქს.)	[მიუთითეთ კურსში მონაწილეთა მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობა]

<b>შეფასება</b>	[წარმოადგინეთ შეფასების სისტემის აღწერა. შეფასების სისტემა მორგებული უნდა იყოს კურსის მიზნებსა და შედეგებზე]
<b>ხარისხის შეფასების მექანიზმები</b>	[მოკლედ დაწერეთ, რა მექანიზმების გამოყენებით შეაფასებთ კურსის ეფექტიანობას. თან დაურთეთ შეფასების ინსტრუმენტის ნიმუში, მაგ. კითხვარი, პროტოკოლი, და ა.შ.].
<b>ინსტრუქტორის სამუშაო დატვირთვა საათობრივად</b>	[მიუთითეთ ინსტრუქტორის სრული საათობრივი დატვირთვა შინაარსისა და კურსის გეგმის გათვალისწინებით].
<b>სასწავლო რესურსები</b>	[ჩამოთვალეთ კურსისთვის საჭირო სასწავლო რესურსები (მაგ. სახელმძღვანელოები, ჰენდაუტები, ონლაინ რესურსები, კომპიუტერული ლაბორატორია, და ა.შ.)].
<b>კურსის გეგმა</b>	[მიუთითეთ კურსის დეტალური განრიგი ძირითადი თემების/ნაწილების/სეგმენტების გათვალისწინებით. საჭიროების შემთხვევაში, მიუთითეთ დრო, რაც საჭიროა კურსში აღნიშნულ თემაზე/ნაწილზე/სეგმენტზე სამუშაოდ].